



მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

ივნისი, 2025

- 2025 წლის მაისში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 7.5 პროცენტი, ხოლო 2025 წლის პირველი 5 თვის საშუალო ზრდა 8.8 პროცენტზე დაფიქსირდა
- ივნისში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 4.0 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.4 პროცენტს
- მაისში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 15.7 პროცენტით და იმპორტი შემცირდა წლიურად 5.1 პროცენტით, რამაც სავაჭრო დეფიციტი 16.5 პროცენტით შეამცირა წლიურად და გაუტოლდა 762.1 მლნ აშშ დოლარს
- მაისის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 6.0 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და უცვლელია წინა თვესთან შედარებით
- ივნისში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტზეა
- ივნისის ბოლოსთვის, საქართველოს სუვერენული რეიტინგები შემდეგია:


Fitch „BB ნეგატიური“

S&P „BB სტაბილური“


Moody's „Ba2 ნეგატიური“

წინასწარი შეფასებით მაისში ეკონომიკურმა ზრდამ 7.5 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



- წინასწარი შეფასებით, 2025 წლის მაისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ მაისში წინა თვესთან შედარებით 0.2 პროცენტი შეადგინა. 2025 წლის პირველი 5 თვის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 8.8 პროცენტია.
- 2025 წლის მაისში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია, დამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, მშენებლობა.


ეკონომიკური ზრდა 2025-2022



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2025 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 9.8 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2025 I კვარტალი




მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2025 I კვარტალი




- წინასწარი შეფასებით, 2024 წელს ეკონომიკური ზრდა იყო 9.4 პროცენტი, ხოლო 2025 წლის პირველ კვარტალში ზრდა დაფიქსირდა 9.8 პროცენტზე. პირველ კვარტალში 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 42.0 პროცენტიან ზრდას აქვს ადგილი.
- 2025 წლის პირველ კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
 - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 28.6 % (1.9 პ.პ.)
 - განათლება: 27.7% (1.7 პ.პ.)
 - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: 12.9% (1.1 პ.პ.)
 - ტრანსპორტი და დასაწყობება: 9.5% (0.8 პ.პ.)
 - სახელმწიფო მმართველობა: 11.0 % (0.8 პ.პ.)
 - საბითუმო და საცალო ვაჭრობა: 6.1 % (0.7 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგმა:
 - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა: -4.6% (-0.2 პ.პ.)

წყარო: საქსტატი


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სეზ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი მაისში წლიურად შემცირდა 16.5 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



იმპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- მაისში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 15.7 პროცენტით და გაუტოლდა 580.1 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად გაიზარდა 10.6 პროცენტით და გაუტოლდა 267.6 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად შემცირდა 5.1 პროცენტით და გაუტოლდა 1 342.2 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 16.5 პროცენტით და გაუტოლდა 762.1 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 10.6 პროცენტი (20.5 %წ/წ), ხოლო ნედლეული საქონლის ექსპორტმა შეიტანა -0.2 პროცენტიანი წვლილი (-1.1 %წ/წ).
- საინვესტიციო, შუალედური და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეიტანა -7.3, -0.8 და 3.0 პროცენტი, შესაბამისად.

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %




იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %




წყარო: საქსტატი

ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, მაისი



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, მაისი



ექსპორტის ტოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 220.7 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 38.0 პროცენტი.
- ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები: 40.2 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 6.9 პროცენტი.
- ყურძნის ნატურალური ღვინოები: 25.9 მლნ აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 4.5 პროცენტი.

იმპორტის ტოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 223.2 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 16.6 პროცენტი.
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 98.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 7.3 პროცენტი.
- სამკურნალო საშუალებები და ფასები: 55.9 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 4.2 პროცენტი.

ექსპორტის ტოპ ქვეყნები:


- ყირგიზეთი: 137.5 მლნ. აშშ დოლარი, - 23.7 პროცენტი.
- ყაზახეთი: 72.2 მლნ. აშშ დოლარი - 12.5 პროცენტი.
- აზერბაიჯანი: 67.3 მლნ. აშშ დოლარი, - 11.6 პროცენტი.

იმპორტის ტოპ ქვეყნები:

- ევროკავშირი: 339.9 მლნ. აშშ დოლარი - 24.3 პროცენტი.
- თურქეთი: 245.1 მლნ. აშშ დოლარი, - 17.5 პროცენტი.
- აშშ: 153.4 მლნ. აშშ დოლარი, - 11.0 პროცენტი.

2025 წლის მაისში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 11.0 პროცენტური ზრდა

წმინდა ფულადი გზავნილები, 2025-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, მაისი 2025

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
აშშ	58.0	25.8	4.7
იტალია	51.6	9.5	1.8
რუსეთი	39.5	-11.2	-2.0
გერმანია	26.3	25.9	2.1
ისრაელი	23.3	10.4	0.9
საბერძნეთი	23.1	12.5	1.0
სხვა	60.5	12.1	2.6

2025 წლის მაისში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 282.2 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11.0 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 125.2 პროცენტით მეტია.


- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - აშშ: 25.8 პროცენტი (4.7 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - გერმანია: 25.9 პროცენტი (2.1 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - იტალია: 9.5 პროცენტი (1.8 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით




- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - ყაზახეთი: -49.0 პროცენტი (-2.0 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - რუსეთი: -11.2 პროცენტი (-2.0 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - აზერბაიჯანი: -1236.7 პროცენტი (-0.7 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	1 ივლისი, 2025	1 ივლ 2025 - 1 იან 2025	1 ივლ 2025 - 1 იან 2024
ევრო	3.1910	▼ -8.2%	▼ -6.8%
აშშ დოლარი	2.7227	▲ 3.3%	▼ -1.2%
თურქული ლირა	0.0684	▲ 16.4%	▲ 33.0%
რუსული რუბლი	0.0346	▼ -25.4%	▼ -13.6%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	187.44	▼ -2.8%	▲ 0.6%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (მაისი 2025)	135.31	▼ -3.1%	▼ -8.9%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)


პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




ობლიგაციების ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი





ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (30 ივნისი)



- 2025 წლის ივნისში ჩატარდა 6 გამოშვებისა და 1 გაცვლის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 275.31 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.092% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობისა და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 90 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები.
- 2025 წლის 30 ივნისისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 43.2% ფორმირებულია იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1-3 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 3-5 წლის ვადიანობის მქონე ობლიგაციებს (დაახლოებით 25%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (მაისი 1.98) შედარებით გაიზარდა და 2.22 შეადგინა.
- ივნისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების დარჩენილი საშუალო შეწონილი ვადიანობა უცვლელია და 3.74 წელზე შენარჩუნდა.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სესხების ლარიზაცია






წყარო: სეზ

დეპოზიტების ლარიზაცია




- 2025 წლის 31 მაისის მდგომარეობით, მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 57.0 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 75.9 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 35.9 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 48.6 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 64.3 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 34.9 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 54.0 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 47.0 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 40.8 პროცენტს შეადგენს.




- 2025 წლის 31 მაისის მდგომარეობით, 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი სესხები 16.0 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- ოვრიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 16.8 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15.1 პროცენტს შეადგენს.
- 2025 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 20.7 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 10.2 პროცენტს გაუტოლდა.
- 2025 წლის 31 მაისის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 14.4 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 21.0 პროცენტით აიწია, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 8.4 პროცენტით გაიზარდა.


დეპოზიტების წლიური ზრდა, %



დეპოზიტების წლიური ზრდა, %




დეპოზიტების წლიური ზრდა, %




- მიმდინარე წლის 31 მაისის მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 11.3 პროცენტი იყო.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 9.4 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 13.1 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 12.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 9.5 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2025 წლის მაისის ბოლოს შეადგინა -1.9 პროცენტი (კლება).
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 21.5 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 7.5 პროცენტი.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის მიერ სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



■ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მორიგი სხდომა 2025 წლის 18 ივნისს ჩატარდა. კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების 8 პროცენტისანი განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ.


■ სებ-ის მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელთან (3 პროცენტი) ახლოსაა. საშუალო დონის ინფლაციას საქართველოში რამოდენიმე შიდა და გარე ფაქტორი იწვევს. ადგილობრივი ფაქტორებიდან გამოსარჩევია მაღალი ეკონომიკური აქტივობა და ეკონომიკის წარმოების პოტენციალის გაზრდა. აღნიშნული შიდა ფაქტორები არბილებენ ინფლაციურ წნეხს. რაც შეეხება საგარეო ფაქტორებს, ამ მხრივ ხაზგასასმელია საერთაშორისო სურსათის ფასების აწევა, იმპორტირებული პროდუქტების დეფლაცია (რაც მეტწილად სატრანსპორტო ხარჯების კლებითაა გამოწვეული), გეოპოლიტიკური დაძაბულობა და გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობის მაღალი დონე და სავაჭრო შეზღუდვების შემოღება. სებ-ის შეფასებით, საერთაშორისო სასურსათო ინდექსების ზრდას იმპორტის დეფლაცია აბალანსებს. თუმცა გარკვეულწილად გლობალური გაურკვევლობითა და ძლიერი შიდა ერთობლივი მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლა კვლავ ნარჩუნდება ეკონომიკაში. სებ-ის ცენტრალური სცენარის მიხედვით, მიმდინარე წელს ინფლაცია დროებით გადააჭარბებს მიზნობრივს მაჩვენებელს და საშუალოვადიან პერიოდში დასტაბილურდება 3%-ის გარშემო. მიმდინარე წლის ივნისში ფაქტობრივმა ინფლაციამ (წ/წ) 4.0 პროცენტი შეადგინა.

■ მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2025 წლის 30 ივლისს ჩატარდება.



■ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მაისში სავალუტო ბაზარზე შეიძინა 245 მლნ აშშ დოლარი, რაც სავალუტო აუქციონების გარეშე განხორციელდა.

მაისში ლარში გაცემული მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების საპროცენტო განაკვეთებმა კლება განიცადა (6/6)

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2025 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.2 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 3.2 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.5 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.2 პროცენტს (ზრდა) შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 12.3 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 15.0 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.5 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.8 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 16.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.7 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2025 წლის მაისის ბოლოს 12.7 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.3 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.7 პროცენტი.

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო